მწვანე ალტერნატივა

მისამართი: თბილისი, 0179, ფალიაშვილის ქ. №27/29, II სართ.
ტელეფონი: (+995 32) 222 38 74 / 229 27 73
ფაქსი: (+995 32) 222 38 74
ელ-ფოსტა: greenalt@greenalt.org

04 / 06 – 128

"27" იანვარი, 2014

ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებელობისა და ექსპლუატაციის პროექტის თაობაზე საჯარო ინფორმაციის მოწოდების თხოვნის თაობაზე

საქართველოს კულტურისა და
ძეგლთა დაცვის მინისტრს
ბატონ გურამ ოდიშარიას

ბატონო გურამ,

როგორც ცნობილია, დასავლეთ საქართველოში, ზემო სვანეთში, იგეგმება ხუდონის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტის განხორციელება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გთხოვთ, მოგვაწოდოთ ინფორმაცია, შეისწავლა თუ არა თქვენდამი დაქვემდებარებულმა უწყებამ დაგეგმილი პროექტი და შეაფასა თუ არა მისი ზეგავლენა მატერიალური და არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის, კულტურის უძრავ და მოძრავ ძეგლებზე, კულტურულ ღირებულებებზე, მათი გამოვლენის, დაცვისა და შენარჩუნების შესაძლებლობებზე.

გთხოვთ, მოგვაწოდოთ აღნიშნულ საკითხზე თქვენს სამინისტროში დაცული საჯარო ინფორმაცია, მათ შორის, მონაცემები, გათვლები, ანალიტიკური ანგარიშები და სხვა სახის დოკუმენტები.

წინასწარ გიხდით მადლობას თანამშრომლობისათვის.

პატივისცემით,

ნინო გუჯარაიძე
აღმასრულებელი დირექტორი